მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ კვლევამ „ბიზნეს-გარემო საქართველოში - 2006“ - 1880 მცირე და საშუალო საწარმო და ინდივიდუალური მენარმე მოიცვა. განუღმა შრომამ დადასტურა, რომ საქართველოში მთავრობის რეფორმატორული ნაბიჯების შედეგად, ბიზნესგარემო საგრძობლად გაუმჯობესდა. კვლევის შედეგების თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვი, რომელიც პოლიტიკურ არასტაბილურობას ბიზნესის განვითარებისთვის დაბრკოლებად მიიჩნევს, 90,4 პროცენტიდან (2003 წ.) ბოლო დროს 66 პროცენტამდე შემცირდა. იმ მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვი, რომლებიც კორუფციას ბარიერად მიიჩნევენ, 2003 წელს დაფიქსირებული 69,1 პროცენტიდან ახლა 38 პროცენტამდე დავიდა, 2003

წელს გამოკითხულ საწარმოთა 73,6 პროცენტმა დაბრკოლებად დაასახელა გადასახადების დონე და საგადასახადო ადმინისტრირება, ამჟამად კი აღნიშნული ფაქტორები ბარიერად მხოლოდ 47 პროცენტმა მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, მენარმეებს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემური საკითხი ანუხებთ, მათ შორის, საგადასახადო ადმინისტრირება, არასტაბილური კანონმდებლობა, სასამართლო სისტემისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, კორუფცია და არათანაბარი კონკურენცია.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ დადებითი ხასიათის ცვლილებების მიუხედავად, 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, მენარმეთა ოპტიმიზმი მომავლის მიმართ იკლებს. 2003 წელს გამოკითხული ბიზნეს-სუბიექტების 75 პროცენტი ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ხოლო 2005 წელს, კომპანიების მხოლოდ 40 პროცენტს მიაჩნდა, რომ ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება მომდევნო წელსაც გაგრძელდებოდა.

კვლევა საქართველოს მთავრობას აძლევს რეკომენდაციებს ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ბარიერების მოხსნის თაობაზე. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მარგულირებული სფეროს რეფორმების შეფასებაზე, მათ

გავლენაზე და იმ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადაიდგას ქვეყანაში ბიზნესის აქტივობის ასაძაღლებლად.

აღნიშნული კვლევა არის ერთ-ერთი იმ მრავალ საშუალებას შორის, რომელსაც IFC სამენარმო გარემოს ხელშეწყობის პროექტი საქართველოში იყენებს, რათა დაეხმაროს მთავრობას, გააუმჯობესოს კანონმდებლობა და მარგულირებული პროცედურების ნებარტებისა და ლიცენზიების გაცემის სფეროში, ასევე ბიზნესის ინსპექტირების მხრევაც. IFC-ს პროექტის მენეჯერის ირინა კოკაიას განცხადებით, ამჟამად IFC თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან მთელ რიგ სფეროებში მნიშვნელოვანი რეფორმების განსახორციელებლად. IFC მუშაობს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ნებარტებისა და ლიცენზიების გაცემის წესებისა და პროცედურების შემუშავებაზე ნიაღისა და ტყით სარგებლობაში. IFC ასევე თანამშრომლობს სახელმწიფო მინისტრთან რეფორმების კოორდინაციის საკითხებში ტექნიკური ზედამხედველობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციების რეფორმირებაზე. გარდა ამისა, IFC გეგმავს თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის



სამსახურთან საკვების შემომების პროცედურების გაუმჯობესების საკითხებზე.

პიუ მაკდაუელის კორპორაცია „ბრიდიშ პეტროლეუმის“ (BP) საქართველოს მენეჯერის განცხადებით, „BP და მისი ნავთობისა და გაზის პარტნიორები მტკიცედ განაგრძობენ თავიანთი წვლილის შეტანას საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველს ჰქმნის. IFC-ის საქმიანობამ, რომელიც სამენარმო გარემოს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, უკვე მოგვცა შედეგი, რითაც ვამაყობთ. გვჯერა, რომ პროექტი კიდევ უფრო მეტად დაეხმარება საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესს“.

საქართველოს რეიტინგის ზრდა საერთაშორისო შეფასებების მიხედვითაც დასტურდება. მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი ანგარიში „ბიზნესის წარმოება 2007: როგორ განვასხორციელოთ რეფორმები?“ საქართველოს №1 რეფორმატორად წარმოადგენს. საერთო მონაცემებით, ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით, საქართველო 37-ე ადგილზეა, რის შედეგადაც ქვეყანა უპრეცედენტოდ, 75 ქულით დანინაურდა გასულ წელთან შედარებით (მაშინ 112-ე ადგილი გვეკავა).

სიმეონ დიანკოვი, ავტორი ანგარიშისა „Doing Business“,

აღნიშნავს: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებამ, განაგრძოს რეფორმები. საქართველომ, რომელიც პირველი რეფორმატორია „Doing Business“ რეიტინგის მიხედვით, ერთ წელიწადში 112-ე ადგილიდან 37-ზე გადაინაცვლა და ამით უდიდესი ნახტომი გააკეთა. საგულისხმოა, რომ საჭიროა დრო, რათა რეფორმებმა ბიზნესისთვის სასურველი შედეგი გამოიღონ. იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა განაგრძობს ეფორმებს, რომლებიც ქვეყანაში ბიზნესის წარმოებას გააადვილებს“.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, კი, კერძოდ, აღნიშნა: „საქართველოს მთავრობამ აჩვენა, რომ მას არ ეშინია ცვლილებების, საქართველოში ბიზნესის განვითარება სწრაფი გზით მიდის და გამიკვირდა, როცა კვლევამ აჩვენა, რომ 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, მენარმეთა ოპტიმიზმმა იკლო. როგორ მოხდა, რომ 2006 წელს ბიზნესის მოცულობა ოთხჯერ გაიზარდა? მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ტვირთები. ბიზნესის წამოწყება გაიოლდა, ჩვენი მთავრობა კვლავაც გაგრძელებს თავის რეფორმისტულ, რადიკალურ რეფორმებს, თუგინდ ეს ზოგიერთებს არ მოსწონდეთ.“

ლალი ძინძაძე

№ 110. ოთხშაბათი. 13 ივნისი, 2007 წელი.

ფასები

ჩვენი დაკვირვებით, ფასების ზრდა მეტი იქნებოდა, მაგრამ იგი დაბალანსა ბოსტნეულზე ფასების სეზონურმა, საშუალოდ 5,3 პროცენტით გაიზარდა. კერძოდ, გაიზარდა კიტრი - 41,1 პროცენტით, პამიდორი - 28,7, ბადრიჯანი - 30,2, კარტოფილი - 5,7, მწვანელი 24,1 პროცენტით და ა. შ. ამავე დროს ჩვენს აგრარულ ბაზრებში გაძვირდა კომპოსტო საშუალოდ 59,6 და სტაფილო საშუალოდ 18,8 პროცენტით.

ამასთან, ფასები უმნიშვნელოდ შემცირდა იმერულ ყველსა და კვერცხზე.

მომსახურების ნაწილში აღსანიშნავია ჯანდაცვის მომსახურებაზე ფასების საშუალოდ 0,5 პროცენტით ზრდა, მათ შორის ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა სტომატოლოგიურ მომსახურებაზე (9,6 პროცენტით).

2007 წლის მაისში, 2006 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 104,3 პროცენტი შეადგინა.

დასკვნა ასეთია: წლებანდელ ხუთ თვეში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის 4,3-პროცენტიანი ზრდა ძირითადად განაპირობა სურსათზე ფასების 4,6-პროცენტთანმა მატებამ, მათ შორის ხილზე - 10,1 პროცენტით, ბოსტნეულზე - 6 პროცენტით, ხორცსა და ხორ-



ცის პროდუქტებზე - 3,5, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე - 0,3 და უალკოჰოლო სასმელებზე - 0,8 პროცენტით. მიმდინარე წლის მაისში, 2006 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის მომსახურების ნაწილში ფასები გაიზარდა ნაცხოვრებელი სახლის, წყლის, ელექტროენერჯის, გაზის და სათბობის სხვა სახეობათა ჯგუფზე საშუალოდ 19 პროცენტით, სამედიცინო მომსახურებაზე - 6,7, სატრანსპორტო მომსახურებაზე - 2,4,

ხოლო სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების მომსახურებაზე - 1,1 პროცენტით.

ამასთან ერთად, სამომხმარებლო ფასები მიმდინარე წლის ხუთ თვეში შემცირდა რძესა და რძის პროდუქტებზე საშუალოდ - 17,1 პროცენტით, ზეთსა და ცხიმებზე - 0,6, შაქრსა და საკონდიტრო ნაწარმზე - 6,9 პროცენტით.

ამ ინფორმაციის მიხედვით ეკონომიკური წინსვლა, არსად არ შეინიშნება. ალბათ, ვერც თქვენ შენიშნავთ, მკითხველო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ

ასეთი „წინსვლა“ ჯერ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

ლარის კურსი კი, როგორც უცნაურიც უნდა იყოს, დოლართან მიმართებაში უფრო და უფრო მყარდება. ეკონომიკური ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა, გამორიცხული არ არის, მისმა კურსმა დოლარის მიმართ 1.50 ნიშნულს მიაღწიოს, რასაც უმთავრესად უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობით შემოსვლა განაპირობებს. მაგრამ კერძო კაპიტალის შემოსვლა კი დადებით ტენდენციებთან ერთად მაკროეკონომიკის დისბალანსსაც იწვევს. საფაქრო ბალანსში იმპორტის წილი იზრდება, შესაბამისად მცირდება ექსპორტის მოცულობა და, ამდენად, ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაც.

ექსპერტების ვარაუდით, წლის ბოლომდე 2 მილიარდამდე დოლარი შემოვა, რაც ალბათ კიდევ უფრო გაამყარებს ლარს, ამიტომ უარყოფითი შედეგების შესამცირებლად მთავრობას ექსპორტის ხელშეწყობას ურჩევნ. არადა, ამ ფონზე სამომხმარებლო ფასები კიდევ უფრო გაიზრდება, თავისთავად გაძვირდება ცხოვრება. ვნახოთ, მთავრობა რა ღონისძიებებს დაგეგმავს.

ნაზი იმანიშვილი

ინფორმაცია

სტუდენტები სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას ითხოვენ

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯის მეორე კურსის სტუდენტები სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას ითხოვენ.

ისინი კოლეჯში მე-9 კლასის ბაზაზე არიან ჩარიცხულნი. ასეთი სტუდენტები კი, რექტორის გონაჩიტიძის ბრძანებულების საფუძველზე, 4-ის ნაცვლად ორ წელს ისწავლიან. პედაგოგის დიპლომის ნაცვლად კი კომპიუტერის ოპერატორის სპეციალობის სერტიფიკატს მიიღებენ. ამის შესახებ 117 მეორე კურსელს სასწავლო წლის ბოლოს განუცხადეს.

სტუდენტები სერტიფიკატის მიღებაზე უარს ამბობენ და სწავლის გაგრძელების უფლებას ითხოვენ. ისინი აცხადებენ, რომ სასწავლებელში პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხენ და არა კომპიუტერის კურსებზე. სტუდენტების აქციაზე დღეს „ხალხის პარტიის“ წარმომადგენლებიც მივიდნენ.

ინტერპრესნიუსი

საგანმანათლებლო სისტემის რეფორმამ რომ განზე გაუხვია, მაშინვე ჩუმად გამოიხურა კაბინეტის კარი. ძვალ-რბილში გამჯდარ ისტორიის სახელმძღვანელოს ჩაულრმავდა ისევ

აზორიაჰეული განწყობით

საშუაშეების წინათ ნათქვამის უარსაყოფად არ მაქვს ხელჩასაჭიდი ფაქტი. უტყუარი. ნალდი.

ეჭვი მაფორიაქებს მხოლოდ. არა მგონია, ადამიანის გასაცნობად მასთან ერთად მართლა ცხრა ფუთი მარილის ჭამა იყოს აუცილებელი. ამის მთქმელს, იტყობა, დრო ჰქონდა მხედველობაში.

დრო. მაშინ არაფერი მიჭირს. დრო მყოფის. ოცდახუთი წელია, ვიცნობ ლიანა შენირულს.

სწორედ ამდენ ხანს ვიყავით დიდტირიაჰიანი, პოპულარული, პედაგოგიური საზოგადოებრიობისთვის უაღრესად საჭირო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები.

მაშინაც გამორჩეული იყო. ჰქონდა პირველი საშუალო სკოლის დირექტორის საკამარ გამოცდილება. რალაც სხვაც.

ფაქტია: დირექტორობა ნყობილად საუბრის უნარი არ არის მხოლოდ. ღვთით მომადლებული ნიჭი და ღირსების გრძნობაც არის აუცილებელი. ბევრი სხვაც, მაგრამ ახლა მათზე ვრცელი მსჯელობა გავიტოვებ, მთავარ სათქმელს აგვაცილებს.

მით უმეტეს პირველი საშუალო სკოლის ისტორიაზე, ტრადიციებზე, კურსდამთავრებულებზე, ყოფილ თავკაცებზე საუბარი.

სამართალი რომ იყოს ამქვეყნად, ზოგიერთი მათგანის სხენებისას ფეხზე უნდა დგოდეს წესიერი კაცი. ასაკის, თანამდებობის მიუხედავად.

დირექტორის კაბინეტში ლიანა შენირულის შესვლა თავიდან უფრო ყისმათი იყო, ვიდრე გარდაუვალი აუცილებლობა. კანონზომიერება მერე გაცხადდა, რაშიც ეჭვი არავის შეპარვია.

არსად. არასოდეს. არც ერთ დონეზე.

სიმაღლე მართლა არასოდეს აკლდა.

ფიზიკურს არ ვგულისხმობ. სულიერზე ლაპარაკი, ყველაფრის მომთოკვზე. სოციალური წყობის, განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმებზე მდგომ ხელისუფლებათა განწყობის ცვლის დროსაც. ემოციების დაოკებას სხვებზე უკეთ შეეძლო. მუდამ. ყოველთვის.

ბევრ პედაგოგს შეხვედრივარ. მისი დირექტორობის უამს ნამოღვანარასაც. გვისაუბრია. გვიჭორავია ერთგვარად.

აქედან ყველაზე მთავარი ინფორმაცია: სკოლის დერეფანში უზომოდ ახმაურებული ბავშვების დასაზომინებლად დირექტორის ემოციური შექაჩილი არავის სმენია. არასოდეს.

არც კაბინეტში უნევედა ხმას. საუბარი ყოველთვის ჰქონდა მტკიცე. დამაჯერებელი და შეუვალი ყველასთვის.

ცხადია, ზოგიერთი თავგასული მსობლისთვისაც. პედაგოგებთან მომთხოვნი იყო. საჭირო დროს - მომწერებელიც.

შეფარული ავტორიტარიზმის ნატამალიც არსად იგრძნობოდა. ადამიანურობა და პროფესიონალიზმი ვლინდებოდა ყველაფერში. შეიძლება ამის გამო მაშინ სკოლაში დანას არავინ ატრიალებდა, არც

პისტოლეტით ინონებდა თავს, როგორც დღეს.

ყველამ კარგად იცოდა: ლიანა შენირული არაფერს მიაჩნებდა მუნდირის ღირსების შესანარჩუნებლად, დიდვანთა ხათრით, რომელთა ნაშეიერების უმრავლესობა მაშინ ძირითადად აქ იყო თავმოყრილი.

დრო ჩვეულ კალაპოტს მიყვებოდა. დენტის სუნი მხოლოდ ჰაერში ტრიალებდა. ერთ დღესაც ცა ჩამოიქცა. ტყვია გავარდა. ყუმბარამ შეანგრია მთავრობის სახლის კედელი.

ცეცხლმა შთანთქა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი - პირველი საშუალო სკოლის შენობაც. მისთვის მაშინ არავის ეცალა. მოჯანყებულ ნარბიცი არ შერხევიათ. მთავარი იყო ბრძოლა ტახტისთვის, რომელიც მერე სულ სხვას დარჩა, ძმათა კვლისთვის შორიდან მაცქერალს.

ცისქვემ დარჩენილ სკოლას უპატრონობა არ უგრძენია.

დირექტორს რკინის ქალამნი არ ჩაუცვამს, არც მხალი ამო-

ლური ფორმები მაგონდება მხოლოდ.

ბულგარული ჟურნალის მთავარი რედაქტორი ჩამობრძანდა ერთხელ. ყველაფრით პირველს ვანვიე მაშინვე. დირექტორის კაბინეტში მოსწავლეთა მოზრდილი ჯგუფი დაგვხვდა.

ერთგვარ ზეიმს ჰგავდა სრულიად საქმიანი შეხვედრა.

ვითარებისთვის შეუფერებლად მეჩვენა. უცებ ერთი თეთრბაფთიანი გოგონა დანინაურდა. ჩემთვის სრულიად გაუგებარენაზე აჭიკჭიკდა. ყველაფერს სხვა იერი მიეცა მაშინვე.

სახე გაუნათა ბულგარელს. ნამეტანი გახალისდა. ინტენსიურად ჩაება დიალოგში დედით, თურმე, ბულგარელ გოგონასთან.

პირველად მაშინ შევნიშნე ლიანა შენირულის სახეზე დიდი მცდელობის მიუხედავად ვერაფერში დღიმილი.

ჩინებული მიგნებით გამოწვეული კმაყოფილების უტყუარი ნიშანი.

სალამოს მცხეთაში ვუსხედით სუფრას. ორნი.

გაგათხელი ყვლა ძქრახე ოტობტოლაე აბ მთრის

ულერება ქარქაშიდან, მაგრამ შეუძლებელი შესძლო. ფართი მონახა, ვილაცამ კიდევ ხათრი ვერ გაუტება და კონტინგენტი ერთი მოსწავლეთა არ შემეიერებულა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჭერს შეფარებულ სკოლაში.

ეს უკვე გმირობის ტოლფასი იყო.

არც ორიგინალურობა აკლდა. დიდი ხნის წინანდელი ამბავი მაგონდება ერთი.

პირველ ნაბიჯებს დგამდა „გადაშენება“, მოგვიანებით ისტორიაში გარდაქმნის, „პერესტროიკის“ სახელით შესული. მსოფლიო განაბული შესცქეროდა დედამიწის ერთ მეექვსედზე გააღჭიმულ იმპერიის ნიაღში ადუღებულ პროცესებს, რომლებზეც ბევრად იყო დამოკიდებული კაცობრიობის ბედი.

სხვებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის, ანუ სახალხო-დემოკრატიულად ცნობილი სახელმწიფოების საგანმანათლებლო სისტემებიც იჩენდნენ ცხოველ ინტერესს.

ჩამოდიოდნენ პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების მთავარი რედაქტორები, ჟურნალისტები. როგორც ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარ რედაქტორს, ხშირად მიხდებოდა მეგზურობაც, მასპინძლობაც.

სამინისტრო ხელს პირველი სკოლისკენ იშვერდა მუდამ. არაფერია გასაკვირი. თავის გამოჩენის მცდელობა მძლავრობდა მაშინაც. დღევანდელზე ნაკლებად, მაგრამ მაინც.

პირველ სკოლაში იყო ყველაზე კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები.

ნიგნმრავალი ბიბლიოთეკა; პროფესიონალიზმის სიცხადე; მრავლისმნახველი ხელმძღვანელები; მდიდარი გამოცდილებანი.

ჩემდა სამწუხაროდ, მაშინ არ ვინერდი საუბრების შინარსს. ახლა ბევრი რამ არ მახსოვს.

სტუმართა მიღების ორიგინალური ფორმები მაგონდება მხოლოდ.

თავიდანვე მაცდუნებლად ჩამოდგმული ერთი ბოთლი საფერავიც ხელუხლებელი დაგვრჩა, რადგან სტუმარი მხოლოდ სკოლაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე საუბრობდა განუწყვეტილად.

ლაპარაკის საღერღელაშლილ კაცთან ღვინო ნაკლებად იხარჯება. სამწუხაროდ, თანამოკალმეს ქართული სუფრის მაღლი ვერ გავატანე ჯეროვნად. სამაგიეროდ სტუმრის მიღების ურვეულო ხერხების ხიბლი გამყვა საგზლად და საფიქრებლად.

სხვა დროსაც ყოფილა ასე. სრულიად განსხვავებული რჯულისა და რწმენის ადამიანთა მიღებისას. ადვილი შესაძლებელია თვითონ სულაც დაინწყებული ჰქონდეს, მაგრამ ჩემში დარჩა ფრიად თავისებური შეხვედრების მაგალითები. ისიც არაერთი.

მახსოვს ოცდახუთი წლისწინანდელი ლიანა შენირულიც. ერთი ციციქა ვერცხლისფერი ზარით ხელში.

ან კარუნებდა რალაცნაირი დაჟინებით.

თავი უკან ჰქონდა გადადებულარი არაბუნებრივად.

ბოლო ზარის ზეიმი იყო. უდარდლოობასთან, უზრუნველობასთან, ერთგვარ უპასუხისმგებლობასთან გამოთხოვების უამი. ამიტომაც ეცრემლებოდათ თვალები წლების განმავლობაში ყველაზე მოუჯულებლებად ცნობილ ყმანცილებსაც.

დირექტორსაც დანამგოდა თვალები. გასჩენოდა კურცხალი, რომელიც არასოდეს გადმოვარდნია სხვების დასანახად. სახეც ამიტომ ჰქონდა, ალბათ, ასე საგანგებოდ აწეული.

ჩანდა, ეს გოგო-ბიჭები მისთვის სულის და ხორცის ნაწილი იყო. წლობით შეთვისებული. მოსაკვეთად ძნელი და მტკიცეული. ერთგვარი პროფესიული განცდაც. თითოეული პედაგოგისთვის ეგზომ საჭირო და აუცილებელი.



ინფორმაცია

რუსლან ქიშპარი: ჩემს ხალხს მართლა არა - მხეცები

„ჩემს ხალხს ვართ და არა - მხეცები. როდესაც ლაშა ოკუჯავას ლიკვიდაციის ამბავი გავიგე, განაცხადე რომ ისეთები, როგორიც ოკუჯავა იყო, უეროვნებო ხალხია. მათ გალის რაიონში როგორც ქართველი, ისე აფხაზი ოჯახები ჰყავთ გამწარებული ვთქვი, რომ ასეთი ხალხი დატირების ღირსიც არ არის და იგი ცრემლის გარეშე უნდა დაიმარხოს. ალბათ ამ ჩემს სიტყვებზე ააგეს ის სისულელე, რომელიც ქართულმა შედიამ გაავრცელა“, - ამის შესახებ „ჯი-ვი-ენს“ გალის რაიონში ბალაგვის რწმუნებულმა რუსლან ქიშპარიამ ქართული მედიით გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ განუცხადა.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აფხაზმა სამართალდამცავებმა მოკლული ლაშა ოკუჯავას ნათესავებს მისი დამარხვისთვის 24-საათიანი ვადა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცხედრის დაწვით დაემუქრენ.

სააგენტოსთან საუბარში ქიშპარია აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ქართული მასმედია აფხაზ სამართალდამცავებს ეყრდნობა.

„ბოროტმოქმედი ლაშა ოკუჯავა გატაცებულმა რამაზ ანთიამ მოკლა. ჩემთვის გაუგებარია საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება და მორიგი პროვოკაციისკენა მიმართული“, - განაცხადა ქიშპარიამ.

XI-306-360

ოტობაია - აფხაზ ჯარისკაცთა სანაპარლო

ბუშინინ ღამით ოთხი აფხაზი ჯარისკაცი გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში შეიჭრა. ისინი ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ, „ვილისის“ მარკის ავტომობილით სოფელში დაიბრუნდნენ და უში სამართალ დისრდნენ.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ პაატა შამუგიამ განუცხადა.

მისივე თქმით, აფხაზები საცხოვრებელ სახლებში შედიოდნენ და მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებდნენ.

აფხაზმა ჯარისკაცებმა სოფელი ოტობაია გუშინ დილით დატოვეს.

ინფორმაციის

„დახმარების იმედი არც ახლა გვაქვს... მიღებული მარცვლეულის რეალიზება ყოველთვის გვიჭირს და ხშირ შემთხვევაში ხარჯებსაც ვერ ვფარავთ. წელსაც, ნათესებს მღრღნელი თუ გაანადგურებს, მერნმუნეთ, ეს ჩვენთვის სასიკვდილო დარტყმა იქნება“



ლისწყარო სტიქიური უბედურების ზონად გამოცხადდა და პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით, არენდატორები მინის გადასახადისაგან გათავისუფლდნენ. თუმცა, შარშან ახალმა ხელისუფლებამ, გლეხებს გადაუხდელი თანხის დაუყოვნებლივ დაფარვა მოსთხოვა, რის გამოც, გლეხების დიდმა ნაწილმა უარი თქვა მინების დამუშავებაზე. დედოფლისწყაროს ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურის უფროსი მარინა ცხვედიაშვილი არ მალავს, რომ გლეხებს თანხების დაფარვა უჭირთ და მინების შექმნას ვერ ახერხებენ.

მოგვიანებით, გადაამოწმების შედეგად გაირკვა, რომ მსგავსი პრობლემა და მინდვრის თავის მომრავლება არამართო დედოფლისწყაროელებს, არამედ მთელი კახეთის მოსახლეობას აწუხებს. თავის მომრავლებას სიღნაღისა და გურჯაანის მოსახლეობაც უჩივის.

ილია მარტყოფლიშვილი

საფრთხე

მინდვრის თავის მომრავლება კახელები შიშობილის საფრთხის წინაშე დააყენა

(გაერთიანებული)

მათივე თქმით, ამხელა ტერიტორიების შენამვლა წამლის სიძვირის გამო ძალზე რთულია, თუმცა იმასაც დასძენენ, რომ არც ასე დატოვება შეიძლება და პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

დედოფლისწყაროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროსი ზაზა ბოსტაშვილი პრობლემის თაობაზე საუბრობს: „მართალია, კახეთში თოვლი იყო, თუმცა ამან მინდვრის თავის გავრცელებას ხელი ვერ შეუშალა. მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, მღრღნელები გამრავლდნენ სწრაფი ტემპით. თითოეული თავი 9 წარუშუნას შობს, რომელიც ახალ თაობას 18 დღეში იძლევა. მინდვრის თავის მომრავლება განსაკუთრებით შეინარჩუნება ნაკვეთებს შორის ტერიტორიებზე, მისასვლელ გზებზე,

ქარსაფარ ზოლებსა და დაუმუშავებელი მიწის ფართობზე.“ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დედოფლისწყაროს სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა მერაბ რობიტიანი პრობლემის უმალ აღმოსაფხვრელად ღონისძიებები შარშანაც გაატარა. მან თავისი გავრცელების საგანგაშო სტატისტიკის თაობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს აცნობა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შარშან დიდი ოდენობით თავისი წამალი – „როტენდიციდი“ თუთიის ფოსფიდი შეიტანეს. როგორც რობიტიანი აცხადებს, თავისი წამალი არენდატორებს შარშან უფასოდ დაურიგეს: „მინდვრის თავის პრობლემა თითქმის ყოველთვის არის, თუმცა ისევე როგორც შარშან, წლეულსაც მღრღნელების მომრავლებამ განსაკუთრებულ მასშტაბებს მიიღწია. თუ დროულად ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები, ცხადია, გა-

ისად, შირაქის ველებზე მოსავლიანობის მაჩვენებელიც გაუმჯობესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კახელები შიშობილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან...“ – აცხადებს მერაბ რობიტიანი. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრად კაცხეთის ექსპერტ-ეკონომისტი ცისკარიშვილი გადაიყვანეს, სამინისტროს უყურადღებობით გაცხადებული ადგილობრივი ფერმერები თუ არენდატორები ყურნალობის გარეშე საუბარში აღმოჩნდნენ. მისი ვერალოვ... ისინი აცხადებენ, რომ გლეხები სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას ინტენსიურად უნდა გრძნობდნენ: „დახმარების იმედი არც ახლა გვაქვს... მიღებული მარცვლეულის რეალიზება ყოველთვის გვიჭირს და ხშირ შემთხვევაში ხარჯებსაც ვერ ვფარავთ. წელსაც, ნათესებს მღრღნელი თუ გაანადგურებს, მერნმუნეთ, ეს ჩვენთვის სასიკვდილო დარტყმა იქნება. როცა კარგი მოსავალია,

შიშობილის ზღვარზე მყოფი გლეხები, იმედიანად არის. სხვა თუ არაფერი, ცარიელი პური მინც გვექნება... პატარა დახმარებას გავგინვევ და მერე ჩვენი ხელისუფლება ტელევიზიით იმდენს იტრიაბს, არ შეგვერგება ხოლმე... ვითომ გასაჩუმებლად ყველა სოფელს ახალი ტრაქტორები დაუფრეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექნიკას გლეხებს არავინ ანებებს და ისინი მუდმივად გამგებლების ეზოებში დგანან...“ – წუხან კახელები. თესლეულის ხარისხის დედოფლისწყაროს ინსპექციის უფროსი შალვა თეთვაძე აცხადებს, რომ შირაქის უხვმოსავლიანი მიწების უყურადღებოდ მიტოვებამ, სანჯავის კატასტროფულად გაძვირებამ, გათავისუფლებული გადასახადის ხელახლა მოთხოვნამ და ტექნიკის სიძვირე გამოიწვია. როგორც ცნობილია, 2000 წელს შირაქის ველები ძლიერმა ქარიშხალმა დააზიანა, მოსახლეობამ მოსავალი ვერ მიიღო, რის გამოც, დედოფ-

აკოლოგია

დმეხითა კვამოხოს „მინამაცა“!

პინ ისის, მკვარო, ...რა სანი მოგაქვს?!

ახლახან საქართველომ მდინარე მტკვრის დაცვის დღე აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა მცხეთის მახლობლად ჩაატარეს აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა მტკვრის გასუფთავებას. აქციაში მონაწილეობა მიიღო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა, გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებმა, მცხეთის მოსახლეობამ. ნავეისგან გასუფთავდა მტკვრის მიმდებარე ტერიტორია.

დავით ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ „ეს აქცია, კიდევ ერთხელ შეახსენებს საქართველოს მოსახლეობას მტკვრის ეკოლოგიური მნიშვნელობას, რომელიც ერთ-ერთი დიდი მდინარეა სამხრეთ კავკასიაში. მდინარე, რომელიც აზერბაიჯანში კასპიის ზღვაში ჩაედინება, სათავეს აღმოსავლეთ-ჩრდილოეთი თურქეთიდან იღებს და საქართველოს ტერიტორიაზე გადის“.

ასე რომ, მდინარე მტკვრის ეკოლოგიური მდგომარეობა სამივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, ამდენად ამ დღეს საქართველოსთან ერთად აზერბაიჯანის ალნიშნავდა. აზერბაიჯანისთვის მტკვრის დაბინძურება ქვეყნის ეკოლოგიაზე მძიმე დარტყმაა, აღნიშნავენ აზერბაიჯანელი ეკოლოგები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მტკვარი საქართველოს ტერიტორიაზე ბინძურდება.

მსოფლიო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს 22 მარტს აღნიშნავენ. თუმცა ეს დღე ნაკლებად ახსოვდათ ქართველ სახელმწიფო უწყებებში და კერძოდ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

მსოფლიო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე დაარსდა 1993 წლის 22 თებერვალს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუციით. მაშინ ყველა სახელმწიფოს მოუწოდეს, მიეძღვნათ ერთი დღე მსოფლიო წყლის რესურსების დაცვისთვის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები ნაციონალურ დონეზე განეხილათ. თუმცა მისი დაარსების იდეა უფრო ადრე, 1992 წელს, როდესაც უნაირი, გაეროს კონფერენციამ დაიბადა.

რა მოხდა

კანკალ კიუსიუა?

პირველი შემთხვევა, რომელიც წყლის დაბინძურების გამო, გენოციდად შეაფასეს იაპონიაში, კუნძულ კიუსიუზე მოხდა... საბჭოთა კორესპონდენტი ვ. ცვეტოვი დიდი ხანი მუშაობდა იაპონიაში. ბევრი წიგნი დაწერა რო-

გორც ამ ქვეყანაზე, ისე მის შრომისმოყვარე მცხოვრებლებზე. მის ერთ-ერთ წიგნში – „ომონამლე“ – აღწერილია მტკვრის დაბინძურება ალწერილი ის საშინელი ტრაგედია, რომელიც იაპონიის კუნძულ კიუსიუზე, მეთევზეთა პატარა დასახლებაში დატრიალდა.

იყო დრო, როცა ადამიანები თევზებს კვებავდნენ, თევზები კი – ადამიანებს. როცა ამ ღვთისკურთხეულ ადგილზე თევზისჭერის პერიოდი იწყებოდა, იმდენი ნადავი მოჰქონდათ, რომ შორიდან გეგონებოდათ, ნაპირისკენ ოქროს მთები მოცურავსო. მოსახლეობას სჯეროდა, რომ მათ თავად „დაიკოკუ“ – სიმდიდრისა და დოვლათის ღმერთი სწყალობდათ. ეს მშვენიერი დღესასწაული იყო, სწორედ ამ მშვენიერებამ მოიტანა სიკვდილი. თავიდან თევზი შემცირდა, ამან ავადმყოფობა მოიტანა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ამ უცნაურ სენს „მინამატა“ დაარქვეს, მალე კი სახელი იაპონიის სამედიცინო ცნობარში შევიდა.

საშინელი იყო ავადმყოფობის სიმპტომები, რომელიც თავს დაატყდა გლეხებსა და მეთევზეებს. უცნობი სენი ხელ-ფეხის დამბლას იწვევდა, მეტყველების უნარს აკარგავდნენ, ბოლოს ტვინის პარალიზებაც ხდებოდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

თავიდან დასახლებაში კატები გაცოფდნენ. ქუჩებში გამხეცვებულნი დარბოდნენ, ადამიანებს ბუნიდნენ, მერე ზღვის ტალღებში ვარდებოდნენ და ისრბოდნენ. ციდან დაშვებული თოლიები ზღვიდან ვეღარ ბრუნდებოდნენ. თევზები ნაპირთან ისე დასულტებულნი დაცურავდნენ, რომ ბავშვებისთვისაც კი ადვილი იყო მათი დაჭერა. მერე ადამიანებიც დაავადდნენ. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ადამიანთა ტვინი დათრგუნული იყო რომელიღაც მძიმე ლიონის ნაწილაკებით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს მინამატის ნაპირი, სადაც არხი გადიოდა. ანალიზებმა აჩვენა, რომ წყალს კონცენტრირებდა „თჩჩ“-ს სამრეწველო ნარჩენები მოჰყვებოდა: სეულენი, ტალიმი, მანგანუმი, სპილენძი, ტყვია, ვერცხლისწყალი... აღმოჩნდა, რომ კორპორაციის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო მედიკოსების დასკვნა წყლის დაბინძურების შესახებ (აქედან გამომდინარე, დაავადებაც). უფრო მეტიც, მისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მუშაობისას არ იყენებდნენ არანაირ ნივთიერებას, რომელსაც წყლის მონამვლა შეეძლო.

მედკოსთა მოთხოვნით, სანაპიროსთან ქარხანამ არხი გააუქმა, ამიტომ 1958 წლის სექტემბერში ნარჩენები მდინარეში მოხვდა, რომელიც სოფლის გავლით ზღვაში გავერცხლდა. სამი თვის შემდეგ ავადმყოფობამ სოფლის თითქმის ყველა მცხოვრები ლოგინს მიაჯახა.

ივანის ნასვლად -

შენაღებული

მოქალაქის ნაღვი

მინამატის უძველესი ქარხანა 1908 წელს ამოქმედდა. ამ ფაქტს მცხოვრებლებიც სისხარული შეხედნენ, მათ ხომ სამუშაო ადგილები გამოუჩნდებოდათ და მეთევზეებს დამატებით შემოსავლის წყარო ექნებოდათ. კაცებს აღარ დასჭირდებოდათ სხვა სამუშაოს ძებნა, ქალებს კი

– სხეულით ვაჭრობა, რათა ოჯახები ერჩინათ. ქარხნის გახსნაზე მისმა დირექტორმა „დასახლების ისტორიის წიგნში“ ჩაწერა: „ქარხნის მშენებლობამ მინამატის შაერი გამჭვირვალე გახადა, გაიზარდა მოსახლეობა, გაფართოვდა ვაჭრობა, სხვა რაიონებიდან გამოცხლდა სატრანსპორტო გადაადგილება“.

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ჩანაწერი 50 წლის შემდეგ იქვე იმუშავებდა. რისხვად შემოუტრიალდებოდა. 1908 წელს ქარხანა 50 ტონა კარბიდს გამოიწვევდა. შემდეგ წელს ამონიუმის სულფატის წარმოება დაიწყო. 1920 წელს მინამატის ნაპირებზე ზღვამ პირველი მკვდარი თევზი გამოიჩინა.

„თჩჩ“ მეთევზეებს კომპენსაციას უზღიდა, თუმცა არც ისე ბევრს. 1944 წელს კორპორაციის დამფუძნებელი დეიუნ ნოგუტი გარდაიცვალა. არავინ იცოდა, რომ მის უკან შავხელ დანაშაულთა მთელი „რეესტრი“ რჩებოდა. იაპონელთა ცნობიერებაში იგი მუდამ დარჩება „მინამატის ავადმყოფობასთან“ ასოცირებული. კაციობრიობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ბუნების დაბინძურებით ადამიანები მასობრივად იღუპებოდნენ.

სპეციალისტთა დასკვნით, 1960 წლის დასასრულს „მინამატის დაავადებით“ 100 ათასი ადამიანი დაიღუპა. 1959 წელს კუმამოტოს უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადებამ მთელი იაპონია შეძრა. როგორც გაირკვა, მინამატის ნაპირებზე დაჭერილი კიბორჩხალა და თევზი, თვით მდინარის წყალიც კი ისეთი დოზით შეიცავდა მომწამლებ ნივთიერებებს, რომ იგი საკმარისი იყო ადამიანის გასანადგურებლად.

გაეროს შექმნისას

უფრო მეტი

დაკარგავს...

შოქის მომგვრელი ინფორმაციის შემდეგ, მთავრობამ ამოძრავა. თუმცა მას არ დაუკეტავს ქარხანა, არც „თჩჩ“-ს დირექციისგან მოუთხოვია რაიმე ახსნა-განმარტება. მთავრობამ, უბრალოდ, აკრძალა ამ მიდამოებში თევზის გაყიდვა. კორპორაციამ

განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელმა სამხედროებმა ნაპირთან ამ ქარხნის წარმოებული იარაღით სავსე ტრანსპორტი ჩაძირეს. თუ ქარხანა იმ პერიოდში ქვეყნის თავდაცვისთვის მუშაობდა, აქედან გამომდინარე, ნაპირის გასუფთავებაც ხელისუფლების საქმე იყო.

მინამატის მცხოვრებლებმა „თჩჩ“-ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. 1972 წელს, პროცესის დანებებთან ოთხი წლის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა იმ დაზარალებულთა ნახვა, რომელთაც კუმამოტოში არ შეეძლოთ პროცესზე ჩასვლა.


სასამართლოს წარმომადგენლებმა ისკო და იოსიკო იემურას ჩვენების დროს მოისმინეს: „ჩემი გოგონა ტოკომო 1951 წლის ივლისში დაიბადა. 2 დღის შემდეგ გოგონას ტანი გაულურჯდა. ჩავეხუტე, ვიფიქრე, გავათბო და სილურჯე გადაუვა-მეთქი... მაგრამ იგი უფრო ლურჯდებოდა...“

მოსამართლე მათ სახლში ტოკომოს სანახავად სასადა, მაგრამ ერთადერთი ბგერა, რომლის წარმოთქმაც 21 წლის გოგონას შეეძლო, იყო: ა-ა-ა... ტოკომო ყრუ დაიბადა. სასამართლოსთვის გაურკვეველი დარჩა, ხედავდა თუ არა იგი მათ – გოგონას ფართოდ გახელილი თვალებში აზრის ნატყბალი არ ჩანდა.

მეზობლის ეზოში მოსამართლემ გამხდარი, ფერმკრთალი ბიჭუნა დაინახა, რომელიც მოუხერხებლად ისროდა ქვეს, რადგან საშინლად დამახინჯებულ ხელებს ვერ იმორჩილებდა, მაგრამ იგი „ბუთითი“ თამაშს ვიუტად აგრძელებდა. როცა ძახილზე ბავშვმა მოიხედა, მოსამართლემ დაინახა, რომ მას სახეს ჭალარა ღინღლი უფარავდა. იგი დიდხანს შეჰყურებდა ბიჭს. ეზოდან ჩუმად გავიდა...

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიამ ტექნიკის განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიიღწია: ყველაზე დიდი ტანკერები, ყველაზე პატარა კომპიუტერები, ყველაზე მაღალი შენობები (სეისმურად ყველაზე აქტიური ადგილებში), ყველაზე ჩქარი მატარებლები... თუმცა იაპონელებმა აღიარეს, რომ ბევრის შექმნისას უფრო მეტი დაკარგეს.

ოლღა ცისკარიშვილი



რას ნერენ, რას აზოგუნ ჩვენზე

აფხაზეთი ეცდება, მიადნოს საერთაშორისო აღიარებას

იმის მიუხედავად, თუ როგორ გადაიჭრება კოსოვოს პრობლემა, აფხაზეთი ეცდება, მიადნოს თავის დამოუკიდებლობის აღიარებას. ეს ორშაბათს განაცხადა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფშია.

ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნების კი მიიჩნია, რომ კოსოვოს პრობლემის გადაჭრასთან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების დაკავშირება დაუშვებელია, რადგან საერთაშორისო გაერთიანების პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების საკითხში არ შეცვლილა. მისი აზრით, „კოსოვოს პრობლემის მოგვარებას არა აქვს დამოკიდებულება აფხაზეთთან“. ასეთი განცხადება სემნებმა გააკეთა ორშაბათს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან სერგეი ბაღაფშიან შეხვედრის დროს.

„ცნობენ თუ არა კოსოვოს დამოკიდებულებას, ამას აფხაზეთისთვის არანაირი

მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ჩვენ არ გადავუხვევთ აფხაზეთის დამოუკიდებლობის კურსიდან“, - აღნიშნა თავის მხრივ ბაღაფშიამ.

სემნებმა აფხაზეთა ხელმძღვანელობას გადასცა ევროკავშირის წინადადებები, რომლებიც უწყობენ ხელს კონფლიქტის მოწესრიგებას და ნდობის აღდგენას. ეს მან თქვა სოხუმში, პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშიან შეხვედრის დროს. როგორც სემნებმა აღნიშნა, საქმე ეხება ევროპის კეთილშეზობლობის პოლიტიკის ფარგლებში აფხაზეთის მოსახლეობისათვის გამიზნული ზოგიერთი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის კონტაქტების აღდგენას: უშიშროების, ეკონომიკის, ჯანმრთელობის დაცვის, სამოქალაქო საზოგადოების სფეროებში.

დელეგაციის წევრთა შორის არიან გერმანიის ელჩი საქართველოში პატრისია ფლორი, საქართველოში ევროპის კომისიის დელეგაციის მოქმედი ხელმძღვანელი რობერტ ლიდე-

ლა, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოლიტიკური მრჩეველი ალექსანდროს იანისი, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოლიტიკური მრჩეველი კაუპო კანდი და გერმანიის საელჩოს მეორე მდივანი თომას პენდშელი.

შეხვედრის დროს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიტერ სემნებმა საზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ და აფხაზეთს მხარეებს შორის დიალოგის განახლებას. როგორც მან თქვა, ევროკავშირი მხარს უჭერს ქართულ-აფხაზეთ დიალოგს ყველა დონეზე და ყოველგვარი პირობის გარეშე. „იმისთვის, რომ განხორციელდეს ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ყველა პირობა, საჭიროა დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რაც დღეს არ არის.

ჩვენ არ ვენიანადმდეგებით ცივილიზებულ დიალოგს საქართველოსთან, მაგრამ მიუღებელია, როცა ძალის პოზიციით გველეპარაკებებიან. მზად ვართ განვიხილოთ თქვენი წინადადებ-

ბის განხორციელების შესაძლებლობები, მაგრამ ეს მოხდება მას შემდეგ, რაც გადაიჭრება ორი პრობლემა - კოდორის ხეობის საკითხი და საქართველოში დეკავებული დავით სიგუას აფხაზეთში დაბრუნება“, - განუცხადა ევროკავშირის წარმომადგენლებს თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

როგორც მან აღნიშნა მსოფლიო გაერთიანებას განსაკუთრებული პოზიტიური დამოკიდებულება აქვს საქართველოსთან, სახელმწიფოსთან რომელიც უხეშად არღვევს ხელმოწერილ შეთანხმებებს, ქმნის ახალგაზრდების სამხედრო ბანაკებს აფხაზეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, იტაცებს მოქალაქეებს, პროვოკაციურად ამწვავებს სიტუაციას კონფლიქტის ზონაში. „როგორ უნდა დავამყაროთ ნდობის აღდგენის ემზადებიან ომისთვის, და არა მშენებლობისთვის, რასაც მონაწილეს კიდევ საქართველოს ხელმძღვანელების მიერ გაკეთებული არაერთი განცხადება? როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ნდობაზე, როცა პარლამენ-

ტის სპიკერი აცხადებს, რომ მისი ერთი ვაჟი იბრძოლებს აფხაზეთში, მეორე კი - სამხრეთ ოსეთში, უკვე არაფერს ვამბობთ თვით სააკაშვილის მიერ გაკეთებულ უხეშ განცხადებებზე“, - თქვა ბაღაფშიამ.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ევროკავშირის წარმომადგენლებს შეახსენა, რომ აფხაზეთში მხარემ გამოიჩინა კეთილი ნება და გაათავისუფლა ტერორისტული საქმიანობისთვის მსჯავრდებული ლევან მამასახლისი, აგრეთვე სამი ქართველი სტუდენტი: ბაღაფშია დასძინა, რომ ამის პასუხად ქართულ მხარეს არ გადაუდგამს შემხვედრი ნაბიჯები, ხოლო საქართველოს სპეცსამსახურების მიერ 2007 წლის 3 თებერვალს გატაცებული დავით სიგუა დღემდე არ დაუბრუნებიათ. „მსურს ქართულმა მხარემ იცოდეს, რომ აფხაზეთა ხელმძღვანელობა ასეთ ნაბიჯებს შემდგომში აღარ გადაუდგამს“, - აღნიშნა ბაღაფშიამ.



№ 110. ოთხშაბათი. 13 ივნისი. 2007 წელი.



ქართველი პოლიციელები კონფლიქტის გონაში საფორტიფიკაციო ნაგებობებს აშენებენ

შარქული სამხედრო ძალების გაერთიანებული შტაბის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქართული პოლიციის თანამშრომლები აშენებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, დვანის დასახლებული პუნქტის მიდამოებში.

დოკუმენტში საზგასმულია, რომ ინფორმაცია საფორტიფიკაციო სამუშაოთა შესახებ დადასტურდა სოფელ დვანის მიდამოებში განხორციელებული მონიტორინგის დროსაც, რომელშიც მონაწილეობდნენ სამი მხარის სამხედრო მეთვალყურეები და ეუთოს მისიის ოფიცრები.

„სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დვანის დასახლებული პუნქტის მიდამოებში ქართული პოლიციის თანამშრომ-

ლები განაგრძობენ მინის სამუშაოებს საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინა მიღწეულ მორიგებათა უხეში დარღვევაა“, - აღნიშნულია დოკუმენტში. „მსგავსი მოქმედება ახდენს სიტუაციის დესტაბილიზაციას კონფლიქტის ზონაში და ვერ უწყობს ხელს მხარეებს შორის ნდობის დამყარებას“, - საზგასმულია განცხადებაში.



რუსლან ქიშმარია: აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზების მშენებლობა ვიღაც მოხრალ ქართველს დასივსობში

თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ინფორმაცია აფხაზეთის გალის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში რუსეთის სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ.

„აფხაზეთში ბაზა იქ საეხებით დასაშვებია რომ არსებობდეს, მაგრამ რა შუაშია აქ რუსეთი? ჯერჯერობით ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით“, - განუცხადა ტელეკომპანია „იმედს“ აფხაზეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ.

მას ასევე არ დაუდასტურებია ქართული მხარის ინფორმაცია, რომლის თანახმადც ბაზის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორიებიდან ასახლებენ ქართველთა ოჯახებს. „ნაკლებად სარწმუნოა, რომ ვინმე გაესახლებინოთ. ასეთი რამ მე არ მსმენია“, - თქვა შამბამ.

ამ საკითხის თაობაზე უფრო კატეგორიული იყო გალის ადმინისტრაციის მეთაური რუსლან ქიშმარია. „რომელიღაც

თქვენს (ქართველ) პარლამენტარს რაღაც დასივსობები. არანაირ სამხედრო ბაზას არ აშენებენ. იქ თუ სურს ვინმეს აგარაკის აშენება, ჩვენ მიწებს გამოვუყოფთ. დაე იცხოვრონ, გაიხარონ, ჩვენ არაფერი სანინააღმდეგო არ გვაქვს“, - აღნიშნა მან. „აფხაზეთი საქართველო არ არის, რომ



ააშენოს სამხედრო ბაზა საზღვარზე, როგორც ეს განმუხურში მოხდა. ჩვენ ეს არ გვჭირდება. აფხაზეთი მშვიდობიანი ხალხი ვართ, და მშვიდად გვსურს ცხოვრება, და აქ არანაირი სამხედრო ბაზა არ არის“, - დასძინა ქიშმარიამ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში რუსული ბაზის მშენებლობის შესახებ იტყობინებოდა ტელეკო-

მპანია „რუსთავი-2“. მისი მონაცემებით, ტერიტორიაზე, რომელზეც დაგეგმილია ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი რამდენიმე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის მშენებლობა, ქართველთა 7 ათასი ოჯახი ცხოვრობს, და რაიონის ხელისუფლებამ უკვე მოითხოვა მათი გასახლება.

სოფელი პრიმორსკოე შემთხვევით არ აურჩევიათ, რადგან აქედან შესაძლებელია სოხუმის და გუდაუთის სანაპირო ზონის გაკონტროლება.

იტყობინებოდნენ ასევე იმას, რომ აფხაზეთში უკვე ჩავიდნენ რუსი სპეციალისტები,

რომლებიც განახორციელებენ გალის რაიონის მიწების პრივატიზაციას და პასპორტიზაციას. რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გამართა სამუშაო ჯგუფების სხდომა, რომლებმაც მოსახლეობას უნდა შეატყობინონ მინის გადასახადების ახალი ტარიფების შემოღების შესახებ. კერძოდ, ყოველი პეტტარი მინისთვის მისამგლობელმა უნდა გადაი-


ხადოს 70 ლარი, ხოლო თბილისის პლანტაციების პატრონებმა ყოველი ჰექტარი მინისთვის უნდა გაიღონ ან 150 ლარი, ან 80 კილოგრამი თბილი.

საქართველოს პარლამენტის ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის აღდგენის დროებითმა კომისიამ დაადასტურა ინფორმაცია აფხაზეთში რუსეთის ბაზის მშენებლობის შესახებ. დოკუმენტში საზგასმულია, რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელთ არსებული ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში რუსეთის დახმარებით იწყება სამხედრო ბაზის მშენებლობა.

პარლამენტის კომისიამ სპეციალურ განცხადებაში დაგმო ეს ფაქტი. როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ სედეკოვმა უარყო ინფორმაცია აფხაზეთში რუსული ბაზის მშენებლობის შესახებ. მისი თქმით, ასეთი რამ არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმებებს.



მაშ, რაღას იჩემებს ზოგ-ზოგი ქართული კულტურის ძეგლებს? რატომ ცვლის უძველეს ქართულ-წარწერიან ქვებს თავისით? აი, ამიტომ იძენს ეს ყოველივე პოლიტიკურ ელფერს! როცა შენს სისხლის-მიერს ასე უბოდიშოდ გართმევენ, ხმა ყველა დონეზე უნდა აიმაღლო!



რეკომენდაციები თუ ბრალდებაები?

მეორე სახელმწიფო ენას უნდათ და ტოპონიმიკის მათეზურად „მოქსავას“

(მესამე გვერდიდან)


მაგრამ რა გინდა რომ ქნა? თურმე, „ე. წ. ისტორიული მემკვიდრეობის გადაწვევების მნიშვნელოვანი კონფლიქტოგენური პოტენციალი არსებობს. კულტურული და საკულტო ობიექტების ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფებისადმი კუთვნილების მტკიცების დროს საკითხი პოლიტიკურ ელფერს იძენს... ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ საქმე ეხება ზოგადად საქართველოს და არა მისი ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ფასეულობებს. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებებით ხშირად გამოიხატება ეთნიკური შეუწყნარებლობა და ქსენოფობიური დამოკიდებულება. არის სხვა კულტურებისადმი და არაბრატრადიციული აღმსარებლობისადმი შეუწყნარებლობის გამოვლენის ფაქტები, მათს შორის, პრესასა და პოლიტიკურ წრეებშიც კი (უშუალოდ ამ ბრალდებას - შემწყნარებლობა-ქსენოფობიის ისეთი დამსჯელი, ცენზურული რეკომენდაციები მოსდევს, საბჭოური „მთავრული“ მოგენატრება და ლამის ლინჩის წესს გაგახსენებთ)“.

რეგლობა და ქსენოფობია? ვინ მოიხსენია ერთხელ მაინც უფროა, ვინ ხელყო ერთხელ მაინც ან სომხური ტაძარი ან მეჩეთი ან სინაგოგა? არატრადიციული რელიგიები რომელია? არატრადიციული სექსუალური ორიენტაციები ვიცით, არატრადიციული რელიგიებისა კი რა მოგახსენოთ. რასაც რელიგიებად გვისაძებენ, სექტები, სექტები და სექტანტობა კი ახლაც აკრძალულია ბევრ ქვეყანაში. საქართველოში კი გალაღებულნი არიან. მეტი რა კოჭი უნდა გაუგორონ „ამ არატრადიციონალებს“? ყოველი აღმსარებლობის რელიგიას, მით უმეტეს სექტებს, კანონით აკრძალული აქვთ ქუჩა-ქუჩა ქადაგება. იელოველები კი სახლებში გვივარდებიან! და ამას უწოდებენ ქსენოფობიას?! ამიტომ უმცირესობათა საბჭოს ეს ე. წ. ბრალდებაები, ფაქტობრივად, ცილისწამებაა!

კიდევ რას მოითხოვენ? გასცენ „ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად; ეროვნულ უმცირესობათა ენები გამოიყენონ ოფიციალურ ენად მოსახლეობის სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ ადმინისტრაციებთან ურთიერთობის დროს“, ანუ საქმის წარმოება იყოს იმ ენებზე, გეოგრაფიული, ქუჩების სახელებისა და „საზოგადოებისთვის განკუთვნილ სხვა ტოპოგრაფიული მითითებების“ - უმცირესობის ენაზე; პარლამენტმა, სათანადო სამართლებრივი დოკუმენტების პროექტები განსახილველად მიანოდოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეკომიგრანტებისა და სხვა ჯგუფების ჩასახლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი თემების წარმომადგენლები, რადგანაც ასეთ ქმედებებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ... დემოგრაფიული სტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით შეცვლის მცდელობად“ იყო შეფასებული.

რეშე (სახელმწიფო ყოველთვის სახელმწიფო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს!) არადა, გახსოვთ, როგორ დახვდა ქვემო ქართლისა და ჯავახეთის სწორედ ეროვნული უმეტესობა სვან და აჭარელ ეროვნულ უმცირესობას - ეკომიგრანტებს? ანუ ქართველებს ქართულ მიწაზე?! თურმე დემოგრაფიული სტრუქტურის ხელშეწყობად შეცვლა გვდომებია! ეგრეც რომ იყოს, ქართველებს საქართველოში სახელმწიფო სადა ჩაასახლებს, ვის უნდა დაეკითხოს?! და კიდევ, ბიუჯეტიდან ყოველი პროექტისათვის თანხებს, გრანტებს მოითხოვენ.

ბენ, რასაც ამ ე. წ. რეკომენდაციების გარეშე ვაკეთებდით და, გაჭირვების მიუხედავად, ვაკეთებთ კიდევ, ნურც მოუკრეფავში გადავლენ და ნურც ცილსა გვწამებენ! ფული კი... დალოცვილებო, ხედავთ რა დღეშიცაა ჩვენი სამშობლო - საქართველო. ამ 23-გვერდიან საბუთში ვერსად ამივიკითხე ასეთი რამ: „გმადლობთ, საქართველო, რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენთვის დედა იყავ და ხარ და არა დედინაცვალი, გმადლობთ, რომ შეგვინახე და გოგვიარვიცით, როგორც მიჭირს და შენად გვიგულე, საყვედურს არა გკადრებთ, გადროვებთ და შენი კეთილი, ალალი გულით, ეგებ, კიდევ ცოტა უკეთესად მოგვხედო!“



სჭირდება კი ამას კომენტარი? აგერ, მეორე სახელმწიფო ენად თავისას ხომ მოითხოვენ, ახლა ტოპონიმიკაც ჩვენელად მოაქციეთო. პარლამენტსაც ვერ მიუღია სამართლებრივი აქტი მათი ნებართვის გა-

P. S. ზემოთ ალიაბადში მომხდარი ამბავი ვახსენე. ოფიციალურ დონეზე ითქვა, ეს საქართველოსთვის სილის განწაიყო, ერთმა ხელისუფალმა კი ქლესად ილუღლულა, ეს ადგილობრივი შოვინისტი მმართველის ბრალიაო. უშიშროებაც მას ემორჩილება? რამდენჯერ დაისტამბა და ტელევიზიითაც გადაიკა, რა მძიმე პირობებში არიან იქაური ქართველები! ეს ძალზე სათუთად, მაგრამ მაინც აღნიშნა იქ ჩასულმა პატრიარქმა. ამას სახელმწიფო პოლიტიკა ჰქვია და არა ადგილობრივი მეფუკას ხუსტური ეგებ, ამ გამონათქვამის გამოც დაგვაბრალონ ქსენოფობია? სამწუხაროდ, ვედარ მოვიძიე მასალები, თუ როგორ ცხოვრობენ ევროპის ქვეყნებში ეროვნული უმცირესობები. არა მგონია, მათს მიერ კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მეორე სახელმწიფო ენა შემოეღოთ და ტოპონიმიკაც მათ ენაზე მოეწყოთ. ერთზე კი თავს დაეგებ - თუ სადმე, ევროპის რომელიმე ქვეყანაში (მატირიალურს არა ვგულისხმობ) რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მეტი თავისუფლებები აქვს, ვიდრე ჩვენთან მცხოვრებს, მათი ხმალი და ჩემი კისერი.

კონსტანტინე გურგენიძე

№ 110. ოთხშაბათი. 13 ივნისი. 2007 წელი.


ტურიზმი

2007 წლის საკურორტო სეზონზე აჭარას 350 ათასი ტურისტი ეწვევა, ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენტან“ საუბრისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა თემურ დიასამიძემ განაცხადა. უცხოელ ტურისტებთან უმეტესად სომხებსა და აზერბაიჯანელ ტურისტებს ელოდებიან.

აჭარას 350 ათასი ტურისტი ეწვევა

რაოდენობაზე დეპარტამენტში, ჯერჯერობით, ზუსტ რიცხვს ვერ ასახელებენ. წინასწარ უკრაინელი ტურისტების ზუსტი რაოდენობა არ ვიცით, რადგან ჯერჯერობით ტრანსფერის საკითხები გარკვეული არ არის. 2006 წელს აჭარაში 2600 უკრაინელი ტურისტი ისვენებდა და, ვფიქრობთ, რომ წელს მათი რაოდენობა, სავარაუდოდ, 5 ათასამდე გაიზარდება, - აცხადებს დიასამიძე.

ნის მიმართულებით ფრენების რაოდენობის გაზრდაც იქნება საჭირო. დღეისთვის ფრენა ხარკოვისა და კიევის მიმართულებით ხორციელდება, რასაც უახლოეს ხანებში ოდესის მიმართულებაც დაემატება და ტურისტების რაოდენობაც მოიმატებს, - აღნიშნა დიასამიძემ.



აჭარის რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურით ესტონელი ტურ-ოპერატორები არი-

ან დაინტერესებულნი. რამდენიმე ესტონურმა ტურისტულმა კომპანიამ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები აჭარის სააგენტოებთან უკვე გააფორმეს. იმავდროულად, გადანყდა, რომ ბალტიისპირეთის რეისები, რომლებიც ადრე ტრავზონის გავლით ხორციელდებოდა, ამერიიდან ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გავლით განხორციელდება. უკვე გადანყვეტილია ისიც, რომ „ეარ ბალტიკ“ და „ესტონია ეარი“, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გახსნის შემდეგ, ბათუმში რეისებს ხშირად შეასრულებს.

XO-308-360



ინფორმაცია

ყოფილი რუსი საგზაოპოლიცია: საქართველო აფხაზეთში

ფართომასშტაბიან საომარ ოპერაციებზე არ წავა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ვინაობის გამჟღავნებისაგან თავს იკავებს, სააგენტო „უტროსთან“ საუბრობს.

სრული ანექსიის გეგმები. ეს გეგმები ეტაპობრივია. პირველი – დესტაბილიზაცია გალის რეგიონში, მეორე – შესაძლო ძალოვანი აქცია. პირდაპირ სოხუმამდე ქართული ჯარები ამჯერად არ წავლენ, პირველ ეტაპზე ისინი ჯერ გალის რაიონის აფხაზეთიდან მოკვეთას შეეცდებიან“, – საუბრობს რუსი სამხედრო და პროგნოზს აკეთებს, რომ აგვისტომდე გალის რეგიონში შედარებით მაინც სიმშვიდე იქნება.


რომ საქართველო არავითარ შემთხვევაში არ წავა ლიად და პირდაპირ სოხუმისკენ გადაადგილებას. „საქართველოს ხელისუფლება ასევე ფიქრობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება შემოუაროს რუს სამხედრო ძალებს საგზაო პუნქტებში. დიდი დანაყოფებით, მათ ვერ შემოუვლიან, მაგრამ „მწვანე ბერეტების“ ტიპის პარტიზანული მოძრაობა სავსებით რეალურია“, – განაცხადებს ივანოვი და ამგვარი სიტუაციის შესაძლო შექმნისას რუს სამხედრო ძალებს საუბრობს.



მისი თქმით, დაახლოებით ამ კითხვაზე თავის დროზე კარგი პასუხი გასცა რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს შემთხვევაში რუსეთი სრულად ამოქმედებს ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შეიარაღება – ავიაციას.

პრემიერის ვენაში სვლეტიან

საქართველოს კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით ვენაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა შეხვედრა მიმდინარეობს.



შეხვედრას ქართული და ე.წ. სამხრეთ ოსური მხარის თანათავმჯდომარეები მერაბ ანთაძე და ბორის ჩოჩიევი ესწრებიან.

რომ აფხაზეთი სულ სხვა, ცალკე არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც საკუთარი კონსტიტუცია და საკუთარი ურთიერთობები აქვს ყველა სახელმწიფოსთან.

შურნალისტები უპიჯდებიან

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სამართლო პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების თავისუფლად გაშუქების საშუალება აღარ ექნებათ.

აფხაზეთის იმედები გადაჭარბებულია

აფხაზეთის მოლოდინი და იმედები კოსოვოს პრეცედენტთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. ამის შესახებ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებმა თავად აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს სერგეი ბალაფშს განუცხადა.

ავარი – რკინიგზაზე

ზესტაფონის რაიონის სოფელ შორაპანთან,



რკინიგზის მაგისტრალზე რამდენიმეცისტრინიანი შემადგენლობა სავალ ნაწილს ასცდა და გადაბრუნდა.

აფხაზეთი უნაპი კი არა, თაგვი, თაგვი!

აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერი ნუგზარ აშუბა აფხაზეთში ვიზიტად მყოფ ესტონელ დიპლომატთან გარი ლახტინთან შეხვედრისას აცხადებს, რომ რაც უფრო მალე მოეგება აფხაზეთის საქართველო და აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ეს მით უფრო უკეთესი იქნება არა მხოლოდ აფხაზი და ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი რეგიონისა და მსოფლიოსათვის.

განცხადება

2007 წლის 30 ივლისს, 13 საათზე, ქ. ქიათურაში, რგანის ხეობაში, შპს „არომატის“ ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება შპს „არომატის“ მანგანუმის გამამდიდრებელი მცირე საწარმოს ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

სს „საქსამთომეტალურგის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აუქციონს

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება რუსეთის წარმოების ორკარიანი კარადა-მაცივარი სანყისი გასაყიდი ფასით 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში. ინფორმაცია განცხადების მიღების და აუქციონის გამართვის შესახებ:

ბანსხალება სააქციო საზოგადოება საღაფევეო კომპანია „ვეროპეისის“ დირექტორატი იუნყება, რომ გამოცხადდა და მიმდინარეობს სს სადაზღვევეო კომპანია „ვეროპეისის“ ლიკვიდაცია.

სააქციო საზოგადოება სადაზღვევეო კომპანია „ვეროპეისის“ დირექტორატი იუნყება, რომ გამოცხადდა და მიმდინარეობს სს სადაზღვევეო კომპანია „ვეროპეისის“ ლიკვიდაცია.

მოგვართავან, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

● ახლახან სწორედ მათი თანადგომით გაიმართა იუსტიციის სამინისტროს ღია პირველობა მინიფეხბურთში სახელოვანი ფეხბურთელისა და მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის თასზე, სადაც 13 დეპარტამენტის გუნდი იბრძოდა წარმატების მოსაპოვებლად



ეროვნული გიგლირთქვა

ორკრიტაზა



შვარცენეგერი ულოცავს

კალიფორნიის შტატის (აშშ) გუბერნატორმა, ცნობილმა სპორტსმენმა და კინომსახიობმა არნოლდ შვარცენეგერმა 15 ათას კალიფორნიელ გულშემატკივართან ერთად ჰოკეის კლუბ „ანაჰაიმ დაკსის“ სტენლის თასზე გამარჯვება მიულოცა.

გამარჯვებულმა ჰოკეისტებმა მოზემე ქალაქი ანაჰაიმი პოლიციელებისა და მეხანძრეების ექსკორტიტ და ორსართულიანი ავტობუსით შემოიარეს, თავად სტენლის თასი კი მოედანზე, სადაც საზეიმო შეხვედრა იმართებოდა, ვერტმფრენით ჩაიტანეს.

განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა გუნდის ვეტერანმა, ფინელმა მოთამაშემ თეე სელიანემ. მას გულშემატკივრებმა ერთი სეზონით დარჩენა სთხოვეს, რაზეც მან უპასუხა: „მე რომ შვარცენეგერი ვიყო, გეტყოდით „მე დაბრუნდი!“, მაგრამ მე ვოცნებობდი მწვერვალთან წასვლაზე, თასზე გამარჯვება კი საუკეთესოა, რაც ბოლო ორ წელიწადში შემემთხვა“.

„სოშომ“ აამღერა

მერა რა, რომ ცნობილი სერბი მოდელი და მომღერალი ელენა კარლეუჩი ფეხბურთის დიდი მოყვარული არაა, ის ხომ საგანგებოდ მიიწვიეს საფრანგეთის თასის მფლობელ „სოშოს“ ზეიმზე, სადაც მას სიმპათიური დუშკო ტოშიჩი ელოდა.

ერთობ მიმზიდველი ელენა 1978 წელს დაიბადა ბელგრადში. ბავშვობიდან მუსიკას ეტრფოდა და უკვე 1990 წელს დაიწყო მომღერლის კარიერა. 1995 წელს კი 100 ათასმა კაცმა დაიტაცა მისი პირველი ალბომი. შარშანაც გამოუშვა რამდენიმე ალბომი, მსმენელების დიდი მონონება რომ დაიმსახურა. აი, პირად ცხოვრებაში კი მაინც და მაინც არ უმართლებს. 2004 წელს ბოიან კარიზე გათხოვდა, თუმცა მათი „ბედნიერება“ მხოლოდ 4 თვე გაგრძელდა. ახლა, როგორც ამბობენ, ფეხბურთელი დუშკო ტოშიჩი შეუყვარდა და დიდ იმედებსაც ამყარებს მასზე.



მინი ფეხბურთი

სადაც სპორტი უყვართ

უკვე მერამდენედ გვიწევს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა სპორტისადმი ერთგულებაზე საუბარი, რაც მისი თავკაცის გია ქავთარაძის, მინისტრის ბიუროს უფროსის ელენე ლაგვილავას, მინისტრის მოადგილის გია მიქანაძის, გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარის ზაურ გოშაძის, ამავე კომიტეტის წევრის გოჩა ბიკაშვილი-

სა და ამ სტრიქონების ავტორის დამსახურებაა.

ახლახან სწორედ მათი თანადგომით გაიმართა იუსტიციის სამინისტროს ღია პირველობა მინიფეხბურთში სახელოვანი ფეხბურთელისა და მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის თასზე, სადაც 13 დეპარტამენტის გუნდი იბრძოდა წარმატების მოსაპოვებლად. დაძაბული ბატალიების შემდეგ პრი-



ფეხბურთი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ – უგულუხემატკივროდ?!

ამ პოპულარული ინგლისური კლუბის გულშემატკივრები ძალზე აღშფოთდნენ მათი საყვარელი გუნდის პატრონის – გლვიზერების ოჯახის გადაწყვეტილებით – 13 პროცენტით გაიზარდა ფეხბურთის მატჩების ბილეთებისა და სეზონური აბონემენტების ფასი. ეს მაშინ, როდესაც კლუბების უმრავლესობამ გაყინა ფასები ან ამცირებებს მას.

მარემ კოლინ ჰენდრიმ, – თავისი ასეთი მოქმედებით, „მიუ“ ბევრ ძველ გულშემატკივარს დაკარგავს. მას შემდეგ, რაც გლვიზერების ოჯახმა კლუბი იყიდა, ბილეთების ფასი 44 პროცენტით გაიზარდა, ახლა კიდევ ერთი სიახლე მოიგონეს – ამიერიდან ინგლისის თასის მატჩებზე დასწრება აბონემენტების მფლობელთათვის გათვალისწინებული აღარაა. ამისთვის დამატებითი გადასახადია საჭირო“.



„ფეხბურთი აღარ იქნება მუშათა კლასის სპორტი, – განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივართა დამოუკიდებელი ასოციაციის თავმჯდომარე მარემ კოლინ ჰენდრიმმა, – ბილეთებზე ფასების მომატება ემუქრება „ლივერპულის“, „ტოტენჰემისა“ და „ვესტ ჰემის“ გულშემატკივრებსაც.“

„პეკინი – 2008“

ოლიმპიადა ბავშვების ხელით

მორიგი საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მოახლოებით, სულ უფრო მრავლდება სიახლეები რუბრიკით „პეკინი – 2008“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი სიახლე სკანდალური ხასიათისაა. აი, თუნდაც ერთი თვალსაჩინო მაგალითი: ამას წინათ აშშ პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან, ნიუ-მექსიკოს შტატის გუბერნატორმა ბილ რიჩარდსონმა განაცხადა, რომ გამოვა პეკინის ოლიმპიადის ბოიკოტით, თუკი ჩინეთი არ გაირჯება, რათა სუდანმა შეწყვიტოს თავისი მოსახლეობის გენოციდი დარფურის რაიონში.

ნარმოებაში ბავშვთა შრომის გამოყენებისთვის. კონგრესის განცხადებაში ნათქვამია, რომ ოლიმპიური სიმბოლიკის წარმოებაში მონაწილეობენ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, თანაც ფაბრიკებში ხალხი 15 საათამდე მუშაობს ჩინეთში ოფიციალური მინიმალური ანაზღაურებით.



ამ „ბრალდებების“ ფონზე თითქოსდა მნიშვნელობას კარგავს პეკინის ხელისუფალთა გადანაცვტილება, ოლიმპიადამდე ქალაქში გააშენოს სამოცი ახალი პარკი.

პარსკვლავი


მირაჩი ბახყუნიც „სიხის“

ბოლოს და ბოლოს ახალი „ნავსაყუდარი“ გამონახა „ნანტან“ და მის ქომაგებთან წაჩხუბებულმა 35 წლის ფრანგმა მეკარემ ფაბრიემ ბარტეზმა – 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონმა. ის ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს აღმოჩნდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი არა, საითქვანაც დევიდ ბექჰემი მიემგზავრება, არამედ მექსიკაში. ბარტეზის ახალი გუნდი „ნეკაკსა“ მექსიკის ქალაქ აგუასკალიენტესშია. ის რომელიმე მივარდნილი პროვინცია არ გეგონოთ. გუნდი ეკუთვნის ერთ-



ერთ უმსხვილეს ტელეკორპორაციას Televisa, რომლის ტელევიზორები „მდიდრებიც ტირიან“ და „ველური როზა“ ჩვენთანაცაა ცნობილი. „ვეფიქრობ, რომ 35 წელი მეკარისთვის დიდი ასაკი არაა და მიმაჩნია, რომ ფაბიენი ჩვენ გუნდს დიდ სარგებელს მოუტანს“, – თქვა კლუბის პრეზიდენტმა. ბარტეზის კონტრაქტი ჯერჯერობით ერთწლიანია.

№ 110. ოთხშაბათი. 13 იანვარი, 2007 წელი.



ვთქვათ, გავათამამეთ, რამდენიმე მისი ნამუშევარი აქ დავკვიდეთ, ანუ სტიმული მივეცით. მანუჩარს, ჩემი აზრით, უკვე მოყვარული აღარც ეთქმის, ისე უზადოდ ფლობს ფერსა და ტექნიკას...

ამ ლაპარაკში ვართ და აგერ არ შემოდინა მანუჩარ მაჩაიძე და ცნობილი ფერმწერი რეზო ადამია?! თავისთავად განვარდობთ „მანუჩარის თემას“. მანუჩარი საკმაოდ მორიდებულია მესაუბრება, არაფერი, უბრალო გატაცებააო, სკოლაში ვხატავდიო, მერე „გეპეში“, სამშენებლოზე რომ ვსწავლობდი, იქ მქონდა შესება მხატვრობასთან, სახვით ხელოვნებაზე უამრავი ლიტერატურა მაქვს წაკითხული, ლენინგრადში რომ ჩავდიოდი სათამაშოდ, უხალ ერმიტაჟში გავრბოდიო, ახლა დრო მაქვს და ნახატებიც დამიგროვდა, ვნახოთ, იქნებ, გავბედო გამოფენაო.

— თქვენ ნახავთ, რა რეზონანსი ექნება მანუჩარის ნამუშევრების გამოფენას, — მეუბნება რეზო ადამია, — აი, „რაჭის ხეობა“, „ინდოეთის პეიზაჟი“, „ბიბი“, „ნატურმორტი“... ეს ნაღდი ფერწერაა! რაც მთავარია, იგი კოლორისტია... დააკვირდით, როგორ არჩევს ფერებს, პრიმიტივიზმის მისხალიც არ არის!... ადვილი შესაძლებელია, რომ მანუჩარმა ისეთივე ნიჭი გამოავლინოს მხატვრობაში, როგორც ფეხბურთელი იყო — ლადი უხვი ფანტაზიის პატრონი, სილამაზის ტრფიალი...

ღმერთმა გისმინოთ!.. მაშ, „მანოს“ ამხევებულ, აფერადებულ ნამუშაულებს გაუმარჯოს!

ვილან

მარდალიევილი

სურათში: ძირძველი რაჭველი მანუჩარ მაჩაიძე ხატავს რაჭის პეიზაჟს.

● გატაცება

მანუჩარ მაჩაიძის ფერადობანი ნამუშაულები

იცანით მანუჩარ მაჩაიძე?... კი, ბატონო, ის არის — ერთ დროს საფეხბურთო მოედნის „ლომი“, „გიორგი სააკაძე“, თბილისის „დინამოს“ სული და გული, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ცოტა ფერმკრთალი კია ფოტო, მაგრამ, ცხადია, იცანით... ოღონდ, ეს მხატვრობა და ფუნჯი საიდან? — გაიკვირვებთ თქვენ. მეც გამიკვირდა, როდესაც „პლესანოვზე“ მდებარე ცნობილ სამხატვრო სალონში მანუჩარის რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი ვნახე გამოფენილი. „მანუჩარ მაჩაიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი“ — ანერსა ქვემოთ რამდენიმე პეიზაჟს და პორტრეტს... მოდი და, ნუ დაინტერესდები. მეც ამ სალონის დირექტორი, შესანიშნავი მხატვარი და მამულიშვილი, მხატვართა კავშირ „ხელოვნების“ თავმჯდომარე ნოდარ რურუა შევანუხე და მანაც აი, რა მიამბო:

— ჩვენი კავშირის ერთ-ერთი მთავარი მისია მთელი საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდა მხატვრების მოძიებაა. აბა, ამ დალოცვილ მინაზე ტალანტებს რა დალევს და, მართლაც ბევრი „ჩრდილში“ მყოფი ახალგაზრდა აღმოვაჩინეთ, რამდენიმე გამოფენაც კი გავმართეთ მათი მონაწილეობით. ამ ძებნა-ძებნაში გავიგეთ, რომ ჩვენი მანუჩარ მაჩაიძე ყოფილა გატაცებული მხატვრობით. ვთხოვეთ, რომ მოეტანა ჩვენთან რამდენიმე ნამუშევარი და, როგორც ხედავთ, პირდაპირ დაგვიმშვენა კედელი. საყოველთაოდ ცნობილია მანუჩარის, როგორც ფეხბურთელის ნიჭიერება, მხატვრობის ნიჭიც, ეტყობა, დაბადებიდან ჰქონდა, მაგრამ მისი გაფურჩქვნისთვის ფეხბურთს გადაყოლილ ახალგაზრდას დრო აღარ რჩებოდა. და აი, თავისი ცხოვრების ნამუშაულებს მანუჩარ მაჩაიძე სერიოზულად მუშაობს ფერწერაში, იგი უკვე პერსონალურ გამოფენაზეც კი ფიქრობს. ჩვენც, ასე

● ინფორმაცია

ლორის ჭირს დაამარცხებენ?

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მონტაგომერის წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებს. ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ექსპერტების დახმარებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში დაავადებების გამოკვლევის ახალი — პრაიმერის მეთოდი დაინერგა. პრაიმერის მეთოდის საშუალებით საქართველოში მონტაგომერის დიაგნოზის დადგენა გახდება შესაძლებელი.

X0-308-360

რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს

ძარბაზღვა მესაზღვრეებმა საპასპორტო კონტროლის გავლის გარეშე საქართველოდან გასვლის მცდელობისთვის რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს. სასაზღვრო უწყების ინფორმაციით, დაკავება სამმართველო „ნითელი ხიდის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „რკინიგზაზე“ და სამმართველო „ლაგოდების“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ცოდნაზე“ განახორციელა.

ინტერპრესსენსი

● საგზოპოლო ცრემლია

საგზოპოლო ბავშვობაა, დედის ცრემლით ამოზრდილი და მონათული მარადიული ბავშვობა, რომელიც ყველა ჩვენგანის სულს ზრდის და ბინიერებისგან იცავს.

ეს სათუთი განცდა გლობალიზაციის შემოტევის უამს გადათელილი შროშანივით გდია შარაზე და ივედრება გადარჩენას, სულის შთაბერვას...

ივედრება, რადგან მოგვიმრავლდნენ ჩვენი წმინდა სახელების მაგინებელი, მათთვის რუსთაველი, თამარი, ილია არარად ქცეულა, ხოლო უწმინდეს სამებას — ენას, მამულს, სარწმუნოებას გროშის ფასი აქვს.

და აი, ასეთ საბედისწერო თუ სათავზარო დროში, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას საყმანვილო კრებულმა „დიდის ლოცვაში“ ცვარნაკურევი შროშანივით შემოგვილო სახლის კარი.

კრებული „მამის შეგონებით“ და „დედის ლოცვით“ და... ყრმის დაბადებით იხსნება. ქვეყნიერებას ბიჭი მოევლინა. გულში ჩაკრულ ახალშობილს მამა ეჩურჩულება, შეიყვაროს მზე და მისი სიკეთე, ინამოს ღმერთი, რომელიც მისცემს ბრატასა და სიცოცხლის წყაროს, არ აამღვრიოს არასოდეს კამკამა რუ, თავისუფლება არ წაართვას არც ერთ სულიერს დედამინაზე და არავინ გაიმეტოს, შვილი არავის მოუკლას.

ახალდაბადებულ ყრმას დედის ლოცვაც ჩაესმის, დედა ევედრება ღვთისმშობელს, შვილი „გაიზარდოს ისეთი ღვთისმოსავი, პატიოსანი, როგორც სჭირდება ერს ჩვენსას“.

აქ არ შეიძლება, არ გაგახსენდეს მარად ნეტარნი დე-

დანი, უწინ მამულს რომ უზრდიდნენ შვილს...

ეს ფსალმუნის-დასანყისი შემთხვევითი არ არის. კრებულს, რომელიც 22 მოთხრობას აერთიანებს, აიაზმასავით გადასხმია მამის შეგონებაც და დედის ლოცვაც, ქრისტიანული მრწამსი და ზნეობა, რომელიც მუდამ ერის ბურჯი ბურჯთაგანი იყო.

მწერალი ქვეყნიერების გადამრჩენად ბავშვის ნათელ სულსა და უმანკობას მიიჩნევს. ეს არის ყოველი ბოროტებისა და სიავის დამორგუნველი.

სით ხელში იდგა და ფიქრობდა, როგორ გადაერჩინა საყვარელი თბილისი ამ ჭუჭყისგან. უეცრად იგი ადგილს მოსწყდა და ონკანს მივარდა, ბურთი წყალს შეუშვირა, „ბურთი მსუბუქად დატრიალდა წყლის ქვეშ. გამოჩნდა ფერად-ფერადი ქვეყნები, აფრენილ პეპლებად რომ ეჩვენებოდა ბიჭს, და სველი ბურთი ბალახზე გააგორა. ორ ზღვას შორის ისევ ძვირფასი თვალისით აკიაფდა საქართველო“.

მაშინ, როდესაც გრანტებით



და-კმა კოტე და დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორი

ბრძოლის წინ ანგელოზად გამოცხადებულ გოგონას იმედის მაცნედ დაიგულეს...

სამშობლოს მოხილვების იმედი ლამაზადაა გადმოცემული მოთხრობაში „ვინ მივა პირველი საქართველოში“, სადაც მოქმედება ფერეიდნის მარტყოფში ვითარდება. მოთხრობა იმ

სევდიან ლეგენდას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც საქართველოს მხოლოდ ის ნახავს, ვინც ცისარტყელის ქვეშ მოახერხებს გაძრომას.

ნიგნს სამშობლოს სიყვარული და მზით ნაკურთხი სევდა ასაზრდოებს... და კიდევ იმ დიდი ოჯახის ტრადიციები, რომელიც ალექსანდრე და თამარ ხიმშიაშვილებმა შვილებს — დოდოს და კოტეს დაანათლეს. მრავალი მოთხრობა თუ ეპიზოდი ხომ ნამდვილ ამბავს, მწერლის უშუალო განცდებს ასახავს. საზოგადოებრიობამ იცის, რომ ქალბატონი დოდოს ძმა — 1942 წლის შეთქმულების მოთავე კოტე ხიმშიაშვილი დახვრიტეს. იგი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეენირა. მრავალი ათეული წელი ქალბატონი დოდოც რეჟიმის მიერ იდევენბოდა, მაინც ვერ გაუყინეს გული, ვერ გააბოროტეს, ქართული ცა და მზე სულიდან ვერ ამოუშანთეს.

ამ მზის ნათლით ცვარნამობს ეს ნიგნიც — „დედის ლოცვა“ რომ დაურქმევია მწერალს და ბავშვობიდან მარადიულ ბავშვობაში გვაცისიერებს. სამშობლო ცრემლიაო, — გვეუბნება, — სულში ჩამძივებული და დედის ლოცვად აღმოცენებული... და გაუფრთხილდითო, გაუფრთხილდითო!..

თამარ შანიშვილი

როგორ გადაარჩინა ერთმა ბიჭმა ქვეყანა



დედის ლოცვა

მოთხრობაში „ერთი ბიჭის გადარჩენილი ქვეყანა“ ფეხბურთელთა ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ნიკუშა ამბობს: „ტალახში იხრჩობა მთელი დედამინა, ორ ზღვას შორის მოქცეული თბილისიც და წაკვირული ბურთით, იგივე გლობუ-

დაფინანსებული ენ. პოპულარული გამომცემლობები ელდონაკრავივით უფრთხიან სიტყვას „სამშობლოს“ და მის სხელებს ლექსსა და მოთხრობაში არ აჭაჭანებენ, ბავშვებს კი ვილაციისგან დაკვეთილ უსამშობლოო, გამოშიგნულ ნიგნებს სთავაზობენ, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას საბავშვო მოთხრობების კრებული ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე დამყნობილ ნერგსა ჰგავს, რომელიც დიდ სულიერებას აზიარებს ყმანვილს.

ხშირად გაიგონებთ, რატომ აღარ ინდობენ მოზარდები ერთ-ერთს, რამ გაასასტიკა ისინი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან იოლია, იმიტომ, რომ ბავშვები შვილის ნუკრის ნაამბობზე აღარ იზრდებიან. დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას ამ ნიგნში კი ყველაფერი, ყოველი საგანი თუ ნივთი შვილის ნუკრით ივედრება — შუაგულ ტყეში წაქცეული პატარა ნაძვი, დაკარგული იადონი თუ ქუ მგლის თვალები... ადა-

მიანივით ჩაფიქრებულა „სარკმლებს ზურგით მიყრდნობილი ლურჯი ლამე“, ყოველ სტრიქონსა თუ აბზაცში მალულად სიკეთე ჩასაფრებულა და გზას უნათებს ადამიანებს...

ამ მოთხრობებში დიდი წარსულის მაჯისცემა ისმის. მწერალი ისე ლამაზად და დამაჯერებლად გვიყვება ამბავს, თითქოს თვითმხილველი ყოფილიყოს. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ მოთხრობას თამარ მეფის ქოშებზე, ბასიანის ბრძოლის წინ დიდი მეფისა და მისი მოსახელე პატარა გოგონას შესვედრის ამბავს... მუხლმოყრილი, ცრემლმდინარე მეფე ღმერთს ავედრებს მამულს, რჩეული ლაშქრის გამარჯვებას შესთხოვს. აღელვებულ, აფორიაქებულ მეფის ლოცვისას ქოშები ეკარგება... მათ შორიასლო სოფელში მცხოვრები პატარა თამარი იპოვის, სირბილით გამოუდგება ჯარს და ქოშებს მეფეს გაუწვდის... მეფე დაუბრუნებს თამარს თავის ქოშებს და დიდი

● ფუტკრის შხამი საკმაოდ ძლიერი ანტიკოაგულანტია, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას, კეთილმოყვებულ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, მოქმედებს სისხლგამტარ სისტემაზე



ფუტკრის შხამი საკმაოდ ძლიერი ანტიკოაგულანტია, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას, კეთილმოყვებულ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, მოქმედებს სისხლგამტარ სისტემაზე

○ იცოდით?

„თაფლი არის იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანა“

ლეზანდები დადის თაფლის სასწაულმოქმედ თვისებებზე. ფიქრობენ, რომ თაფლი და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტები ადამიანს აახალგაზრდავენ.

ფუტკრაჰი და თუთუნი

ორბანიზმის გაცვეთილობის დამადასტურებელი ბიოლოგიური ასაკი ბევრგვარად განსაზღვრავს, თუ რამდენად მეტხანს იცოცხლებს ადამიანი. ბიოასაკი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს პასპორტში ნაჩვენები კალენდარული სასივრცისგან. სწორედ ამიტომ, რომ მაგალითად, 50 წლის ქალთაგან ერთნი გოგონებზე გამოიყურებიან, მეორენი კი 35-40 წლების ასაკშიც – დედაბრებივით.

სწავლულები ფიქრობენ, რომ მამაკაცების დაბერებაში უპირველეს ყოვლისა დამნაშავეა ანეული არტერიული წნევა და წნევის მიზეზით შემცირებული ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა. სხვათა შორის, წნევის მავნე ჩვეულება მეფუტკრეთა შორისაც გვხვდება, თუმცა ისინი ნაკლებს ეწევიან: ფუტკრებს, როგორც ცნობილია, არ მოსწონთ თუთუნის სუნი.

მაინს. რამდენი უფუტკრეო?

თაფლის დასაშვებ სადღეღამისო დოზად ითვლება 100 გრამი მოზრდილთათვის და 30-50 გრამი ბავშვებისათვის. შეეცადეთ დღეში ნორმის ორ-სამ იჯრად განაწილებთ. თაფლის ჭამა ჯობია თითო ჩაის კოვზით, იმისი პირში გაჩერებით და მერე თბილი ჩაის, ადულტ-


ბული წყლის ან რძის დაყოლებით. გნებავთ ერთბაშად გასცენით თაფლი 40 გრადუსზე დაბლა თბილ წყალში და ისე დალიეთ. ამ ნუგბარს თუ ჭამამდე 1,5-2 საათით ადრე ან ჭამიდან 3 საათის მერე მიირთმევთ, იმისი სასარგებლო თვისებები უკეთ გამოვლინდება.

წამლები საფუტკრიდან

თაფლი იწვევს საერთო-გამამაგრებელ, ანტიმიკრობულ, ანთების საწინააღმდეგო ქმედებას. ერთგვარად აქვეითებს ქოლესტერინს. სკის ნებოს მიკრობის საწინააღმდეგო მოქმედება შეუძლია.

ყვევლის მტვერი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ფერმენტებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების უზარმაზარ კომპლექსს შეიცავს. ჭეო ახდენს ანაბოლიკურ, ანტიათეროსკლეროზულ, იმუნომასტიმულირებელ მოქმედებას. ფუტკრის შხამი საკმაოდ ძლიერი ანტიკოაგულანტია, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას, კეთილმოყვებულ გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, მოქმედებს სისხლგამტარ სისტემაზე.

დედეფუტკრის რძე ძირითადად იმუნომამოდილირებელ მოქმედებას იწვევს, კარგი გავლენა აქვს მიოკარდის შემკვლავ ფუნქციაზე და ამალღებს ცენტრალური ნერვული სისტემის რეზერვებს.



ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ გომგუაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებაში.

გიული ჯალალანია, იზო გოგბერიძე-თავართქილაძისა, მარინა კანდელაკი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონ ვახტანგ გომგუაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამირან ტაკიძე, ზურა ჩიქვილაძე, მიხეილ ჟღენტი, საშა პოპოვი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი, პროფესორი ვახტანგ გომგუაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სახალხო ბანკის მარტვილის ფილიალის თანამშრომლები თანაუგრძობენ ბატონ გიორგი გოგუაძეს მამის ვახტანგ გომგუაძის გარდაცვალების გამო.

დედა ლილი, მეუღლე დოდო, შვილები თენგიზ, მარიკა, შვილიშვილები დათო, ნუცა, ძმა პაატა ჩიტიაშვილები, და ლალი ასანიშვილი, რძალი ნინო კაპანაძე, ახლობლები და ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა იოსებ (სოსო) თინათინის ძე ჩიტიაშვილი პანაშვიდი 13, 14 VI, 17 სთ. დიღმის მასივი, მეორე კვარტ. მე-3 კორპ. ბინა №19. გადასვენება ქ. ხაშურში 15 VI, 12 სთ. მის. მოსკოვის ქ. №24. გამოსვენება ქ. ხაშური წმინდა ივანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრიდან 16 VI, 15 სთ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უზენაესი სასამართლოს თანამშრომელი იური გულუა და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

○ ლარის კურსი

13 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შეფასები კურსი

ინგლისური გირე.	1	3,3049 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6755 ლარი
ევრო	1	2,2351 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0645 ლარი.
ამერბაიჯანული მანათი	1	1,9562 ლარი.
სომხური დრამი	100	0,4837 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,3363 ლარი.

○ ანეკდოტები

— როგორია ავადმყოფის მდგომარეობა?
— ორი მილიონი დოლარი აქვს.
— მაშინ დავინწყით ოპერაცია.




თუ ქმარს გაანებივრებ, იგი ბავშვად იქცევა, ხოლო თუ ცოლს — ეშმაკად.

ვიანთ მეზობლებს — ებრაელებს. ისრაელის ტერიტორიაზე მოხვედრისას პალესტინელები ფთქდებიან.

ერთმა პოეტმა, ჯილდოს მიღების იმედით, ხოტბა შეასხა მმართველს. ამ უკანასკნელმა ყურადღებით მოუსმინა პოეტს და უთხრა: — ახლა არაფერი მაქვს, რომ დაგაჯილდოვო... მაგრამ როდესაც გამაბრაზებ, ამას გაპატიებ! მაშინ ბარიბარს ვიქნებით.

○ კადრი



ზაგათის მორიგი ნოვარი გამოვა პარასკევს, 15 ივნისს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

<p>საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA აიფშო და ღაპაბაღონდა გამომცემლობა მამისთავში. მ. მოსტაფას მ. №14. ტელ: 93-50-22. იპაღება გამომცემლობა „კურსი“ სბაბაში, რკინიგზის ჩინი, 20.</p>	<p>გაზეთ „საბარტველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ფურნა- ლისტები. მისამართი: ქოსტავას ძ. №14. ტ. 899 53766; 98-96-33.</p>	<p>შპს „თანადგომა“- ქიზიჩის ძ. №12. ტ. 899 797679; 98-96-32.</p>	<p>მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი მორიგე რედაქტორი ვილან მარალაიშვილი</p>	<p>ინდექსი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34 მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33. სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576</p>	<p>რეკლამის მიერ შეკვეთილი მასალა უპასუხებია ავტორთა ხარჯით. წერილობით მოხარული უპასუხებია პასუხს აკმავე ავტორები, რომელთა მისამართები, მისამართი, მუდამ არ ვითხოვთ რეკლამის უპასუხის უფლებას.</p> <p>ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობა 2-2,5 ნაბიჯ გაეკეთებინათ მოსულობის სტაბილურ ნაშრომთაგანგან.</p>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------